

1986



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა  
და  
ინსტრუქციათა  
კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი  
1986

აპრილი

№ 4

АПРЕЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И

ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ  
1986

შ ი ნ ბ ა რ ს ი

გადაწყვეტილება — პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალეობების შედეგების შესახებ	3
ბრძანება № 96 — რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების შესახებ	5
Приказ № 96 — Об организованном окончании учебного года в вечерних и заочных средних школах республики	8
დადგენილება — მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების შედეგების შესახებ	11
ბრძანება № 97 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების ძირეულ რგოლებამდე ოპერატიული დაყვანის შესახებ	25
გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა 1985 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ	26
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების თაობაზე საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა გეგმა (1986—1990 წ. წ.)	33
გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის ქ. ზუგდიდის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის შესახებ	42
Решение — О работе внешкольных учреждений г. Зугдиди по коммунистическому воспитанию учащихся в соответствии с требованиями реформы общеобразовательной и профессиональной школы	54
გადაწყვეტილება — სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კვ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ქარელის რაიონში საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერობობლივი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	65
Решение — О массовом участии учащихся старших классов общеобразовательных школ республики в практических работах в период летних каникул 1986 года	70
გადაწყვეტილება — ბუნების დაცვის საქმეში რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმისა და მათი ეკოლოგიური განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	80

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1986 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება

პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო  
საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები და მიიღეს დადგენილება, რომლის შესაბამისად საპრიზო ადგილები, სხვებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სსრ პედაგოგიური ცოდნის რამდენიმე უნივერსიტეტს.

პირველი ადგილი მიენიჭა და დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ფულადი პრემიით — 400 მანეთის ოდენობით — მახარაძის რაიონის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

მეორე ადგილი მიენიჭა და დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ფულადი პრემიით — 200 მანეთის ოდენობით — ახალციხის რაიონის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

მესამე ადგილი მიენიჭა და დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ფულადი პრემიით — 100 მანეთის ოდენობით — ზესტაფონის რაიონის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

დადგენილების თანახმად, ფულადი პრემიები უნდა მოხმარდეს სახალხო უნივერსიტეტებისათვის თვალსაჩინო მასალისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შეძენას.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო მშენებელი“ განათლებაში“.

2. დაევალოს სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკურ საბჭოს განხორციელოს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგებისა და დათვალიერების მიმდინარეობის პროცესში დაგროვილი დადებითი გამოცდილების ფართო პრობაგანდა.

სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების მასალების შესწავლის, მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის სახალხო განათლების მიერ გაწეულ საქმიანობაში უზრუნველყონ პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების აქტიური მონაწილეობა.

3. რესპუბლიკური პედაგოგიური პრესის რედაქციებმა (ამხ. აშხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) მოამზადონ და გამოაქვეყნონ პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობის ამსახველი მასალა.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. მასხაძე

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში  
სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილებაში „რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიან) და დაუსწრებელი საშუალო სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შუქზე“ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საქმეში დამკვიდრებულ ფორმალიზმს, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის ფაქტებს და სხვა სერიოზულ დარღვევებს.

ამასთან, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მიერ განვიღო პერიოდში ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრის მიზნით მხოლოდ ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში გადაიდგა რეალური ნაბიჯები: გაუქმდა ფიქტიურად არსებული კლასები, სკოლებიდან ამოირიცხნენ დებულების უხეში დარღვევით ჩარიცხული პირები, გატარდა ქმედითი ღონისძიებები მოსწავლეთა ვაკეეთილებზე დასწრების, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესის და ქსელის მოწესრიგების მიზნით.

ნათელია, რომ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის რადიკალური გაუმჯობესების მიზნით, რესპუბლიკაში დღემდე განხორციელებული ღონისძიებები სრულიად არასაკმარისია, ყველგან უზრუნველყოფილი არ არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილებით და შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება. უფრო მეტიც, სახალხო განათლების ადგილობრივი ფინანსების ხელმძღვანელი ორგანოების დიდმა უმრავლესობამ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ბოლომდე ვერ გააანალიზა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში შექმნილი ვითარება, ვერ გამოიტანა სწორი დასკვნები და არ შეიმუშავა მოქმედების კონკრეტული პროგრამა. შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დასახულ ღონისძიებათა დიდი უმრავლესობა საქმისადმი უპასუხისმგებლო, ზერელე დამოკიდებულების ნიმუშია და არ იძლევა სახალხო განათლების ამ ერთ-ერთ საპასუხისმგებლო უბანზე მდგომარეობის გაუმჯობესების სამომავლო გარანტიას.



ამასთან, ახლოვდება სკოლის ცხოვრებაში მეტად საბუნებისმეტყველო პერიოდი, გამოსაშვები გამოცდები, რაც საგანგებო ყურადღებასა და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების „რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიან და დაუსწრებელი საშუალო სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შუქზე“ განუხრელად განხორციელების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

1. 1. მაქსიმალურად გამოიყენონ მიმდინარე სასწავლო წლის დარჩენილი დრო გამოსაშვები გამოცდების ორგანიზაციისათვის. დროულად ჩაატონ პროგრამით გათვალისწინებული საკონტროლო წერითი, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, მოაწყონ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები ყველა საგამოცდო დისციპლინაში.

1. 2. არსებული წესის შესაბამისად გამოსაშვებ გამოცდებზე არ დაუშვან ის მოსწავლეები, რომელთაც არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვთ ოთხი სასწავლო კვირა ან არ ჩაუბარებიათ ჩათვლები სასწავლო წლის მეორე ნახევარში.

1. 3. სამუშაო ადგილების მიხედვით დროულად აცნობონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების შესახებ, მათთვის დებულებით გათვალისწინებულ შეღავათების გაცემის მიზნით.

1. 4. განსაკუთრებული ყურადღებით დააკომპლექტონ საგამოცდო კომისიები. მათ შემადგენლობაში შეიყვანონ უმაღლესი განათლების მქონე საუკეთესო მასწავლებლები.

1. 5. გამოსაშვები გამოცდებისათვის დროულად მოამზადონ სათანადო დოკუმენტაცია, საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ხელსაწყო-იარაღები, ინვენტარი.

1. 6. მოაწესრიგონ კურსდამთავრებულებისათვის საშუალო განათლების ატესტატების დროულად გადაცემის საქმე. ატესტატების გადაცემა მოახდინონ საზეიმო ვითარებაში შრომის, სამამულო ომის ვეტერანთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. მკაცრი კონტროლი დააწესონ საქართველოს კომპარტკომის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შუქზე“ შესრულებაზე, მისი ცხოვრებაში გაჩუხრელად გატარების მიზნით შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები.

2. 2. რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით მკაცრად დაცვან „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“ მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. 3. მკაცრი კონტროლი დააწესონ გამოცდების მიმდინარეობაზე. უზრუნველყონ გამოცდებზე განათლების ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენელთა დასწრება; აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მოსწავლეთა პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში.

3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

4. ბრძანება დაიბეჭდოს გავით „სახალხო განათლებაში“, დაეგზავნოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

მინისტრი ნ. შ. ვასაძე

  
საგანმანათლებლო  
მინისტრო

**ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ  
ГРУЗИНСКОЙ ССР**

**Об организованном окончании учебного года в вечерних  
и заочных средних школах республики**

14 марта 1986 года, № 96

В постановлении Центрального Комитета Компартии Грузии от 19 декабря 1985 года «О состоянии и мерах по улучшению работы вечерних и заочных средних школ республики в свете требований Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы» особое внимание обращено на утвердившиеся в деле организации учебно-воспитательного процесса вечерних и заочных школ формализм, факты либерализма в оценке знаний учащихся и другие недостатки.

Проверками Комитета народного контроля республики и Министерства просвещения, проведенными в истекший период, выявлено, что лишь в отдельных районах и городах предприняты реальные шаги по искоренению указанных в постановлении недостатков и нарушений: ликвидированы фиктивные классы, отчислены из школ лица, зачисленные с грубыми нарушениями Положения, проведены действенные мероприятия по упорядочению посещаемости занятий учащимися, учебно-воспитательного процесса и сети школ.

Очевидно, что меротриятий, осуществленных в республике на сегодняшний день в целях радикального улучшения работы вечерних и заочных школ, совершенно недостаточно.

Не везде обеспечено последовательное осуществление мероприятий, предусмотренных вышеуказанным постановлением ЦК Компартии Грузии и соответственно решением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 26 декабря 1985 года.

Более того, большинство руководящих местных органов народного образования не полностью учли местные условия и не до конца проанализировали положение, создавшееся в вечерних и заочных школах, не сделали правильных выводов и не выработали конкретной программы действий. Проверка убедила, что большая часть мероприятий, намеченных для улучшения положения, являет собой образец безответственного, поверхностного отношения к порученному делу и не дает на



будущее гарантий улучшения положения на этом ответственнейшем участке народного образования.

Вместе с этим приближается ответственный период в жизни школы — выпускные экзамены, требующий чрезвычайного внимания и осуществления надлежащих организационных мероприятий.

С целью неукоснительного исполнения постановления Центрального Комитета КП Грузии от 19 декабря 1985 года «О состоянии и мерах по улучшению работы вечерних и заочных средних школ республики в свете требований Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы» при к а з ы в а ю:

1. Директорам вечерних и заочных школ:

1. 1. Максимально использовать оставшееся время текущего учебного года для организации выпускных экзаменов. Своевременно провести предусмотренные программой письменные контрольные, практические и лабораторные работы, проводить индивидуальные и групповые консультации по всем экзаменационным дисциплинам.

1. 2. В соответствии с существующими правилами не допускать к экзаменам учащихся, пропустивших по не уважительной причине четыре учебные недели или не сдавших зачеты во втором полугодии учебного года.

1. 3. С целью предоставления учащимся предусмотренных Положением льгот, своевременно сообщить по месту работы руководителям предприятий и организаций об их допуске к экзаменам.

1. 4. Укомплектовать экзаменационные комиссии с особым вниманием, ввести в их состав лучших учителей, имеющих высшее образование.

1. 5. Подготовить к выпускным экзаменам надлежащую документацию, классные комнаты, кабинеты и лаборатории, приборы, инвентарь.

1. 6. Упорядочить дело своевременной выдачи выпускникам школ аттестатов о среднем образовании. Вручение аттестатов провести в торжественной обстановке и при участии ветеранов войны и труда, представителей партийных, профсоюзных и комсомольских организаций.

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, го-

родов и районов республики. Управлению народного образования г. Тбилиси.

2. 1. Установить строгий контроль за исполнением постановления Центрального Комитета Компартии Грузии от 19 декабря 1985 года и решения коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 26 декабря 1985 года «О состоянии и мерах по улучшению работы вечерних и заочных средних школ республики в свете требований Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы», выработать конкретные мероприятия и наметить пути его неуклонного претворения в жизнь.

2. 2. С целью организованного окончания учебного года в вечерних и заочных школах республики и проведения выпускных экзаменов на высоком уровне, строго соблюдать требования действующей «Инструкции об экзаменах, переводе и выпуске учащихся общеобразовательных школ Грузинской ССР».

2. 3. Учредить строгий контроль за ходом проведения экзаменов, обеспечить присутствие на экзаменах руководящих представителей органов народного образования; повысить персональную ответственность руководителей и учителей школ в деле объективной оценки знаний учащихся.

3. Контроль за исполнением данного приказа возложить на Управление вечерних и заочных школ (тов. Г. Тутберидзе).

4. Приказ напечатать в газете «Сахалхо ганатлеба» и разослать местным органам народного образования; опубликовать в сборнике приказов и инструкций Министерства просвещения Грузинской ССР.

Основание: Решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 14 марта 1986 года.

**Министр Н. Ш. Васадзе**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს,  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა  
და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო  
საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს  
პრეზიდიუმის 1986 წლის 14 მარტის დადგენილება

მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების,  
ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის  
ჩატარების შედეგების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 12 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წლის 3—7 იანვარს, ქ. ფოთში ჩატარდა სკკპ 27-ე ყრილობისადმი მიძღვნილი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეული, რომელიც წარმოადგენდა მოსწავლე ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, რაციონალიზატორული საქმიანობისა და შრომითი ჩვევების დათვლიერებას. კვირეულზე მოწვეულნი იყვნენ საკავშირო დათვლიერებაში „ნორჩი ტექნიკოსები, ნატურალისტები და მკვლევარები — სამშობლოს!“. ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ და საქალაქო გამოფენებში. კონკურსებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებული მოსწავლეები რესპუბლიკის ყველა რაიონიდან.

მეთორმეტედ ჩატარებულმა კვირეულმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ბევრი რაიონის სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში ფართოდ ჩაბმისათვის, რესპუბლიკურ კვირეულში მონაწილეობა მიიღო 39 ქალაქისა და რაიონის 206 წარმომადგენელმა, მათ შორის 158 მოსწველემ (გასულ წელს მონაწილეობდა 20 ქალაქი და რაიონი). საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით კვირეულის დღეებში მოსწავლეთა შორის გაიშალა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ფართო პროპაგანდა.

კვირეულის მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტმა (ამხ. გ. აფშილავა), განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. დარჯანია), ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურმა (ამხ. ჯ. ქაჯაია).

მოსწავლეები შეხვდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს ალკ ფოთის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს, რადიოს, ტელევიზიისა და პრესის ახალგაზრდული რედაქციების წარმომადგენლებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათმშენებელ, ს. ორჯონიკიძის სახ. გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ, „ფოთიელექტროაპარატის“ ქარხნებისა და მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთის“ შრომით კოლექტივებსა და კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს; ქალაქის სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების და ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. დაათვალიერეს ქ. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ტყე-პარკი, ნავსადგური. კვირეულის მონაწილეებმა ჩვეული ენთუზიანზმით ჩაატარეს ფანტასტებისა და ერუდიტების კონკურსი, საახალწლო მეჯლისი, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალი ქართული ფილმის „ჩიორას“ ჩვენება-განხილვაში, დაესწრნენ ვ. გუნიას სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლს.

შინაარსიანად წარიმართა სექციური მუშაობა რადიოელექტრონიკის, ქიმიური ტექნოლოგიისა და სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო დარგებში. დასახელებულ სექციებზე განხილულ იქნა 143 მოსწავლის 121 ნამუშევარი. სექციურმა მუშაობამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, თუ როგორ ცდილობენ ბავშვები თავიანთი ცოდნა და უნარი დაახმერონ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა მაღალ ტექნიკურ დონეზე გადაჭრის დიდ საქმეს, რა სერიოზულად ფიქრობენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებაზე, ორიგინალური კონსტრუქციების სამშენებლო თუ სამრეწველო ტექნიკის ნიმუშების შექმნაზე.

კვირეულზე გამოიკვეთა ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების ძირითადი მიმართულებანი: „ნორჩი ტექნიკოსები — ტრანსპორტის“, „ნორჩი ტექნიკოსები — სოფლის მეურნეობას“, „ნორჩი ტექნიკოსები — მედიცინას“, „ნორჩი ტექნიკოსები — სკოლას!“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები ცდილობენ შექმნან ისეთი ხელსაწყოები, მომავლის ტრანსპორტის პროექტები, რომელთა პრაქტიკული გამოყენება და დანერგვა შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ამ მხრივ გამოირჩეოდა ქ. ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის იური კურტანიძის ნამუშევარი, რომელიც საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ჭარბი წყლის რაოდენობა გემის ძრავის მიერ გამოწვეულ ქვეყნის გავაში, თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ანრი ბაციკაძის მიერ დამზადებული ბიოდენების მართვის ორარხიანი გამაძლიერებელი, რომელიც პრაქ-

ტიკულ გამოყენებას ჰპოვებს მედიცინაში, თბილისის 173-ე ლო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ზურაბ ცაბაძის მიერ შექმნილი ადამიანის რეაქციის სისწრაფის გამზომი ხელსაწყო, წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების ვალერი ცინარიძისა და სერგო დიდიძის მიერ დამზადებული პროგრამული ელექტრონზარი, ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის სერგო რუბანოვის რჩევითი სიხშირის გენერატორი, ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის ილია კამკამიძის ელექტრონული მიქსერი და სხვა ნამუშევრები.

მაღალი შეფასება დაიმსახურეს სატრანსპორტო სექციის მონაწილეებს — თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ზვიად ციკოლიასა და თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ნიკო წიქარიძის ერთობლივმა ნამუშევარმა — ორიგინალური კონსტრუქციის ტრეილერის მოდელმა, ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის მუხრან მუმლაძის ავტომობილის სარბოლო მოდელმა, რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის დავით დარსალიას კატამარანის მოდელმა და სხვა.

ქიმიური ტექნოლოგიისა და სოფლის მეურნეობის სექციაზე გამოირჩეოდა ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ირმა ჯოლიას მიერ დამზადებული ამიაკის მისაღები ხელსაწყო, თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელების მაია ჯონაძისა და ქეთინო გოგლიძის მიერ დამზადებული მინისა და კერამიკის ტექნოლოგიის სტენდი.

ნორჩ ტექნიკოსთა მიერ რესპუბლიკურ კვირეულზე წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრები აღინიშნა ჯილდოებით; კვირეულის ორგანიზატორთა და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სიგელებით დაჯილდოვდა 104 მოსწავლე და 5 კოლექტივი. გარდა ამისა, მონაწილეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ალკა ფოთის საქალაქო კომიტეტის სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.

ტრადიციულად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ჩატარებული მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეული მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებაში. ტექნიკური წრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ კვირეულის ღონისძიებებში, გაბედულად იცავენ მათ მიერ დამზადებულ ნაკეთობებს. ჟღერამ, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრებით იყო დაკომპლექტებული, სექციურ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის მომზადებაში შეინიშნებოდა ცალკეული ხარვეზები და ნაკლოვანებები.

ზოგიერთი ნამუშევარი თემატურად არ პასუხობდა კვირეულის დებულებით გათვალისწინებულ პირობებს, არ შეესაბამებოდა სექციათა პროფილს, არ გამოირჩეოდა სიახლითა და აქტუალობით, შესრულების დონით.

რესპუბლიკის რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, კომკავშირის რაიონული კომიტეტები სერიოზულად არ მოეყიდნენ რესპუბლიკურ კვირეულში მონაწილეობის საკითხს, რის გამოც 22 რაიონს არ მიუღია მასში მონაწილეობა (იხ. დანართი).

მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს. განათლების განყოფილებებს დროულად დაეგზავნათ დადგენილება კვირეულის ჩატარებისა და მასში მონაწილეობის პირობების შესახებ, ზოგიერთი დელეგაცია არასრულად იყო დაკომპლექტებული (თეთრი წყარო, კასპი, ცხაკაია, ამბროლაური). სექციებზე წარმოდგენილ ნამუშევართა ერთ ნაწილს არ ახლდა დოკუმენტაცია. რეფერატები (მარნეული, თიანეთი, ლაგოდეხი, წითელწყარო, ადიგენი, ამბროლაური, გარდაბანი); ვანისა და სიღნაღის რაიონების დელეგაციებს კვირეულზე არ წარმოდგენიათ არც ერთი ექსპონატი.

ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურმა კვრეულმა თვალნათლივ გამოკვეთა მოსწავლე ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების საქმეში კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, განათლების განყოფილებების როლის ზრდის, სკოლისგარეშე დაწესებულებების და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების საქმიანობის შემდგომი გააქტიურების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარება სავალდებულო იყო რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონისათვის, მიმდინარე წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში კვირეულები ჩატარდა მხოლოდ აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ვაგრაში, ტყებულის, წულუკიძის, ცხაკაიას, ლანჩხუთისა და თელავის რაიონებში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და ა დ გ ი ნ ე ს:

1. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ახგარიში მიმდინარე წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩატარებული კვირეულის შედეგების შესახებ და-

2. აღნიშნოს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა რესპუბლიკური კვირეულის მომზადებისა და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მაღალი დეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების საქმეში.

3. რესპუბლიკური კვირეულის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის, წლების განმავლობაში ტექნიკურ შემოქმედებაში, რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმისა და მიღწეულ წარმატებებში დიდი წვლილისათვის ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი ა. მ. ჯ. ლ. ქაჯაია დაჯილდოვდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს საოლქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებმა:

ა) გააცნონ აღნიშნული დადგენილება სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელითი მუშაობის ორგანიზატორებს, უფროს პიონერთელმძღვანელებს და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წევრებს და დასახლს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღონ ქმედითი ზომები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გასაცნობად;

გ) ჩამოაყალიბონ ახალი წრეები სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების მიზნით; ფართოდ ჩააბან საწრეო მუშაობაში სამეცნიერო-ტექნიკური და რაციონალიზატორ-გამომგონებელთა საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები;

დ) კვირეულის ჩატარების პირობების გათვალისწინებით, 1986 წლის ბოლოსათვის ადგილებზე შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები, კვირეულები ჩაატონ დანიშნული დროისათვის არა მარტო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, არამედ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, პროფკავშირების ტექნიკისა და კულტურის სახლებსა და სასახლეებში;

ე) იზრუნონ მოსწავლე ახალგაზრდობის კვირეულში ფართოდ ჩაბმისათვის. განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციონ ადგილებზე



დელეგაციების დაკომპლექტებას და კვირეულის ექსპონატების კომენტაციის გაფორმებას.

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ლ. ჯამი):

ა) პრაქტიკულად იხელმძღვანელოს არსებული რეკომენდაციებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ;

ბ) შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებები სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და ტექნიკის სახლების კვირეულში აქტიურად ჩაბმის, კვირეულის გეოგრაფიის გაზრდის უზრუნველსაყოფად;

გ) ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების მდგომარეობის შესწავლისა და ადგილებზე დახმარების გაწევის მიზნით მიმდინარე წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მიაგლინოს მუშაკები და სპეციალისტები;

დ) ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები და 1986—1987 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს რესპუბლიკის რაიონები და ქალაქები კვირეულის ჩატარებისათვის საჭირო მეთოდური მითითებებით, რეკომენდაციებით, სანიმუშო თემატიკითა და საკონსულტაციო მასალებით;

ე) ტექნიკური წრეებისათვის დახმარების გაწევის მიზნით ნორჩ ტექნიკოსთა წრეების სახეობათა შესაბამისად, პერიოდულად მოამზადოს და ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცეს თვითნაკეთ ხელსაწყოთა აღწერილობები და ნახაზები.

6. მითითება მიეცეთ ამ დადგენილების თანდართულ სიაში დასახელებული რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს წარუდგინონ განმარტებითი ბარათები იმის შესახებ, თუ რატომ არ მიიღო მონაწილეობა კვირეულში მათი რაიონის დელეგაციამ.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ასო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის განათლების სამმართველომ უზრუნველყონ, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული სადგურების დირექტორებმა ფართოდ გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა და ტექნიკური წრეების მთელი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ რესპუბლიკური კვირეულის ამოცანებს.

8. გაზეთების „ნორჩი ლენინელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, „სახალხო განათლება“, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“, რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტექნიკური წრეების საქმიანობა.

9. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი ვალის საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის და პიონერების განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდა-შვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
მ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი ნ. ვახტანგი

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა  
საკავშირო საზოგადოების საქართველოს  
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე  
ი. გაბუნია

FSYD

ს ი ბ

რესპუბლიკის იმ რაიონებისა, რომლებსაც რესპუბლიკურ  
კვირეულში მონაწილეობა არ მიუღიათ

- |               |                |
|---------------|----------------|
| 1. აბაშა      | 12. მაიაკოვსკი |
| 2. ასპინძა    | 13. მესტია     |
| 3. ახალციხე   | 14. მცხეთა     |
| 4. ბოგდანოვკა | 15. ონი        |
| 5. ბორჯომი    | 16. საგარეჯო   |
| 6. გურჯაანი   | 17. საჩხერე    |
| 7. დმანისი    | 18. ხაშური     |
| 8. დუშეთი     | 19. წალენჯიხა  |
| 9. ყაზბეგი    | 20. წალკა      |
| 10. ლანჩხუთი  | 21. ჩოხატაური  |
| 11. ლენტეხი   | 22. ჩხოროწყუ   |



## სია

კოლექტივებისა და მოსწავლეებისა, რომლებიც 1986 წლის  
ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩატარებულ  
მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების,  
ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკურ  
კვირეულში წარმატებების მოპოვებისათვის  
დაჯილდოვდნენ

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სიგელით:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
2. ალკა ფოთის საქალაქო კომიტეტი
3. ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგური
4. სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჭიხაიშის საშუალო სკოლა
5. მაია ჯონაძე — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის  
მოსწავლე
6. ქეთინო გოგლიძე — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-9  
კლასის მოსწავლე
7. ირმა ჯოლია — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის  
მოსწავლე
8. იური კურტანიძე — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-10  
კლასის მოსწავლე
9. ანრი ბაციკაძე — თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მე-9  
კლასის მოსწავლე
10. ზურაბ ცაბაძე — თბილისის 173-ე საშუალო სკოლის მე-9  
კლასის მოსწავლე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით:

1. ქ. ფოთის განათლების განყოფილება
2. ქეთინო ღვანია — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის  
მოსწავლე
3. ლელა ინსარიძე — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მე-7  
კლასის მოსწავლე
4. ხათუნა ბაჩილავა — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ინხურის  
საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. გიორგი კუპრაშვილი — ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის მე-7  
კლასის მოსწავლე
6. სერგო რუბანოვი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლა-  
სის მოსწავლე

7. გულნარა მჭედლიძე — თეთრი წყაროს 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
8. ზაურ ყირიმელაშვილი — თბილისის 151-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
9. ვია ცქიფურიშვილი — ტყიბულის რაიონის სოფელ საწირეს საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
10. მიხეილ ზუბაშვილი — რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
11. ვალერი ცინარაძე — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
12. სერგო დიდიძე — წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. კობა გვასალია — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
14. ზვიად ციკოლია — თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. ბესარიონ სურმავა — წულუკიძის რაიონის სოფელ წითელი ვარსკვლავის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
16. დიმიტრი კრივოშევი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

**სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს  
რესპუბლიკური საბჭოს სიგელით:**

1. ქ. ზუგდიდის პიონერთა სასახლის რადიოტექნიკის წრე
2. ირმა სიმონიძე — წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
3. ლელა ნემსიწვერიძე — ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. პავლე კოროლიოვი — რუსთავის 24-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
5. მამუკა ყორაყოლიანი — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
6. ალექსანდრე შავშიაშვილი — რუსთავის მე-20 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
7. ალექსანდრე ლიპოვი — ჭობულეთის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
8. სერგო პაპიანი — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
9. დიმიტრი სემიონოვი — რუსთავის მე-20 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
10. ილია კამკამიძე — ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე



11. შალვა არსენიძე — ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
- რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სიგელით:**
1. ზურაბ ლომიძე — ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
  2. იოსებ ზუბიტაშვილი — ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
  3. თემურ ზვედელიძე — ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
  4. თემურ გასანოვი — რუსთავის მე-7 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
  5. ავთანდილ მიქიაშვილი — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
  6. სერგო ბაბაევი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
  7. სიმონ ხითაროვი — გორის მე-12 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
  8. დავით ბაშინჯაყელი — გორის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
  9. ასლან უგრეხელიძე — სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიზაისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
  10. ვოდერძი შეროზია — ზუგდიდის მე-15 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

**საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სიგელით:**

1. დოსაფის ფოთის საქალაქო კომიტეტი
2. ნიკო წიქარიძე — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ბადრი კარანაძე — ზუგდიდის 62-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე
4. ბესარიონ ხუცურაული — ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. მიხეილ ყორჭოლიანი — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
6. სპარტაკ ნარიმანიძე — თბილისის 154-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
7. ანდრეი მავაი — ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

8. ლევან ვაშაკიძე — სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი შის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
9. გიორგი ჩარკვიანი — ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
10. გიორგი მღებრიშვილი — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
11. მუხრან მუმლაძე — ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
12. დავით დარსალია — რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. კონსტანტინე ფომენკო — ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
14. კახა მებონია — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. მამუკა მელიქოვი — თბილისის 84-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

**ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სიგელით:**

1. ვაგრის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ხელმძღვანელის წრე
2. გრიგოლ ლეჟავა — სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაი-შის საშუალო სკოლის დირექტორი
3. ვიქტორ ოსიპოვი — რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავიასამოდელო წრის ხელმძღვანელი
4. ლეონიდ კრიგი — რუსთავის მე-19 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
5. ვია სირაძე — ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
6. ალექსანდრე ელიაშვილი — ვარდახის მე-4 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
7. ვალერი ლიპოვი — ზუგდიდის მე-10 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
8. ლევან კუხალაშვილი — ზუგდიდის მე-10 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
9. იური ალიევი — ბოლნისის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
10. სერგო გურავენიძე — ბოლნისის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
11. გიორგი ოყროშიძე — ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

12. სერგო ქიტუაშვილი — გორის მე-12 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
13. შალვა აბისონაშვილი — გორის მე-12 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
14. რობერტ მაკგოვეი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
15. მანუჩარ ცერცვაძე — ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
16. იგორ ლიუტი — ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
17. ზვიჩა მოდებაძე — ჭიათურის მე-8 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
18. კობა გოგატაშვილი — ჭიათურის მე-8 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
19. სერგო თანდელიძე — ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
20. თამარ ახვლედიანი — ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
21. ივანე ივანოვი — ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
22. რამაზ შენგელია — ზუგდიდის მე-12 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
23. მურად დავითიანი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
24. მარენ ბოჭორიშვილი — ტყებულის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
25. ეკა სოსელია — ზუგდიდის რაიონის 62-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე
26. მამია კორტავა — ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
27. დავით მუშკუდიანი — ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
28. რამაზ ზაქარაშვილი — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
29. დავით შველიძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
30. ასლან ბოლქვაძე — ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
31. ალექსანდრე იაშენკოვი — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
32. ოლეგ სნეგირიოვი — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის

- 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე  
33. მერაბ რამიშვილი — ორჯონიკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
34. მამუკა ჭიპაშვილი — ორჯონიკიძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
35. ვოდერძი ნანეიშვილი — ფოთის მე-9 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
36. ზურაბ ტარუაშვილი — გორის რაიონის სოფელ საქაშეთის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
37. სერგო კონჯარია — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
38. სერგო იარემენკო — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
39. ლეონიდ პივნევი — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
40. ანდრეი მირონოვი — გაგრის 113-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე
41. ვალერი ფაჩუაშვილი — ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
42. დავით მსხილაძე — ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
43. ზურაბ ხუცურაული — ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
44. ზურაბ სამხარაძე — ზნაურის მე-9 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
45. გემირ ალბოროვი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
46. ვართან ხაჩატუროვი — თბილისის 122-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
47. ალექსანდრე მარტიროსიანი — ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
48. დავით სხირტლაძე — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
49. ზურაბ ხაჩიძე — ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე
50. ზაზა ხაჩიძე — ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
51. კახა ბათირიშვილი — ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
52. ალექსანდრე დოღგოვი — ბათუმის მე-18 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების ძირეულ რგოლებამდე ოპერატიული დაყვანის შესახებ**

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ძირეულ რგოლებამდე ზემდგომი ორგანოების დადგენილებების, სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების დაყვანის საკითხის მოწესრიგების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) შემოიღოს რუბრიკა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში“, სადაც, სისტემატურად გამოქვეყნდება ძირეულ ორგანიზაციებთან და სახალხო განათლების განყოფილებებთან მიმართებაში მყოფი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები და ბრძანებები.

2. სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

— გაზეთ „სახალხო განათლების“ ყოველი ნომრის მიღებისთანავე გულდასმით განიხილონ მასში მოთავსებული კოლეგიის გადაწყვეტილებები და ბრძანებები, დაიყვანონ ისინი თითოეულ მასწავლებლამდე; შეიმუშაონ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მათი რეალიზაციის ღონისძიებების გეგმა და უზრუნველყონ მისი შესრულება; საჭიროების შემთხვევაში საკითხი განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

3. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა:

— მოახდინონ ოპერატიული რეაგირება განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და კოლეგიის გადაწყვეტილებებზე. მკაცრად დაიცვან მათში ჩამოყალიბებული მოთხოვნები. საჭიროების შემთხვევაში დასახონ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა და წარმართონ მიზანმიმართული მუშაობა მის შესრულებაზე;

— დააწესონ კონტროლი რაიონის განათლების ქსელის დაწესებულებების მიერ სამინისტროს ბრძანებებისა და კოლეგიის გადაწყვეტილებების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე.

4. სკოლების სამმართველოს უფროსმა (ამხ. თ. ტატიშვილი) და კოლეგიის მდივანმა (ამხ. ნ. ღამბაშიძე) ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები ცენტრალურ აპარატში სამინისტროს ბრძანებებისა და კოლეგიის გადაწყვეტილებების ძირეულ რგოლებამდე დაყვანის ორგანიზაციის და პასუხისმგებელ პირთა შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ნ. შ. პასაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1986 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა 1985 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა 1985 წელს გარკვეულ შედეგებს მიღწიეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის თაობაზე ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო შეუფერხებელი დაფინანსებით.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა სახალხო განათლების ორგანოების, სისტემის დაწესებულება-ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია.

ქსელისა და კონტინენტის საგეგმო დავალებების შეუსრულებლობის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა გაჭიანურების და სხვა მიზეზების გამო საანგარიშო წელს აუთვისებელი დარჩა სახალხო განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხებიდან 2853,0 ათასი მანეთი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტით — 2748,0 ათასი მანეთი, რესპუბლიკური ბიუჯეტით — 105,0 ათასი მანეთი. განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხები ვერ აითვისეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, ახმეტის, მარნეულის, ბორჯომისა და ადიგენის რაიონებმა.

ჩატარებული რევიზიებით და შემოწმებებით დადგენილია სახსრების უკანონოდ ხარჯვის შემთხვევები 250,0 ათასი მანეთის ოდენობით. რაც გამოწვეულია მუშაკთა არასწორი ტარიფიკაციით, შეთავსებითი მუშაობის კანონმდებლობისა და სამტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევით, სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე კონტროლის შესუსტებით. ამასთან ერთად, სისტემის დაწესებულებებში წლის განმავლობაში გამოვლენილი იქნა 39,0 ათასი მანეთის გაფლანგვა-დატაცება (ყაზბეგის საბავშვო სახლი, თიანეთის, ცხინვალის სკოლა-ინტერნატები და სხვა).

უმრავლესი რესპუბლიკური საბიუჯეტო დაწესებულების წლიური ბალანსებით, წინა წლების ანალოგიურად, კვლავ ირიცხება დიდი

ოდენობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება, სხვადასხვა მასალების ზენორმატიული ნაშთები. მთელი რიგი დაწესებულების ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში გამოყოფილი თანხების ყაირათიან და მიზნობრივ ხარჯვას, უშვებს ცალკეულ მუხლებში უნებართვო აუთვისებლობა-გადახარჯვის ფაქტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით არა-დამაკმაყოფილებელი შედეგები გააჩნიათ: სამტრედიის სპეციალურ სკოლას, ზამთრის სახეობათა და კრივის სპორტულ სკოლებს, გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატს და სხვა რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებს.

საგვემო დავალებების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად განათლების სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ აღინიშნება ისეთი სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გასულ წლებშიც. ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების, არამწარმოებლური ხარჯების შემცირებისა და ლიკვიდაციის საქმეს.

1985 წელს სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ბიუჯეტის წინაშე გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. მათ ბიუჯეტს დააკლეს 86,9 ათასი მანეთი (გეგმა 447,0 ათასი მანეთი, ფაქტობრივი შესრულება — 360.1 ათასი მანეთი); ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების შესრულება ვერ უზრუნველყვეს სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ 87.4 ათასი მანეთით და საპროექტო კანტორამ 3,8 ათასი მანეთით.

იმის გამო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხს, მოშლილი იყო სახელმწიფო დისციპლინა, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწყობის ტერიტორიაზე გაჩენილმა ხანძარმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს 608,2 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა. განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორაში პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არასწორად ისაზღვრებოდა და ადგილი ჰქონდა ზედმეტობას. ამავე დროს სამუშაოები ფორმდებოდა არარსებულ შემთავსებლებზე.

ნაკლები ყურადღება ექცეოდა დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა შემცირების საკითხებს, რის გამოც 1986 წლის 1 იანვრისათვის დებიტორულმა დავალიანებამ 195,8 ათასი მანეთი შეადგინა, კრედიტორულმა კი 815,8 ათასი მანეთი.

სახელმეკრულებო დისციპლინის დარღვევის გამო 1985 წელს სამეურნეო ორგანიზაციებმა ჯარიმების სახით და სახბანკის სესხის ვა-

დაგადაცილებული დავალიანებისათვის გადაიხადეს 15,9 ათასი მანეთი.

კვლავ დიდია ზენორმატიული ნაშთები, რომელთა ოდენობა საანგარიშო წლის ბოლოსათვის 564,3 ათასს მანეთს შეადგენდა.

სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა 1985 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოების, ცალკეული საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საგეგმო-საფინანსო, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების და მთლიანად საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მართვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა, რაც შემდგომში სრულყოფილად უნდა გამოსწორდეს.

აღნიშნული ნაკლოვანებების არსებობა ნაწილობრივ გამოწვეულია იმითაც, რომ განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ არსებობს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური.

სისტემის სახალხო განათლების ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, მათ მიერ 1986 წლის საგეგმო დავალებათა უთუოდ შესრულებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კოლევამ გადაწყვიტა:

1. აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ორგანოებმა, სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა სრულად ვერ განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების განვითარების 1985 წლის საგეგმო დავალებათა შესასრულებლად, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და ამ მხრივ თავიანთ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი გააჩნიათ.

2. მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი სახალხო განათლების ორგანოების რესპუბლიკური დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი მთავარი ბუღალტრები, რომ მომავალში მათ დაქვემდებარებულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ანალოგიური დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენის შემთხვევაში ისინი მკაცრად დაისჯებიან.

3. 1985 წელს თავიანთ ორგანიზაცია-დაწესებულებათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის, ჯეროვანი პასუხისმგებლობის გამოუჩენლობისათვის გამოეცხადოთ საყვედური: სამტრედიის სპეციალური სკოლის დირექტორს პ. ხუჭუას, უფროს ბუღალტერს — თ. კობრაძეს, რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორს ო. გაგუას, უფროს ბუღალტერს

ვ. სანიკოვას, ბავშვთა და მოზარდთა ზამთრის სახეობათა სპორტული სკოლის უფროს ბულალტერს ა. კუქანოვას.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისათვის განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორის დირექტორი თ. ქიქოძე სამუშაოდან განთავისუფლებულია, ხოლო მთავარი ბულალტერი ე. თაბუკაშვილი თანამდებობიდან გადაყენებულია და მასალები საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცათ;

ბ) სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საქმიან ეზოში გაჩენილი ხანძრის შედეგად გამოწვეული ზარალისათვის სამმართველოს ყოფილ უფროსს ი. იტრიაშვილს და მთავარ ინჟინერს ჟ. ბუბაშვილს კოლეგიის გადაწყვეტილებით საყვედური გამოეცხადათ. ამჟამად მიღებულია ზომები, რათა ხანძრის შედეგად გამოწვეული ზარალის (608,2 ათასი მანეთის) ნაწილის (475,0 ათასი მანეთის) გადახდა დაეკისროს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს;

ბ) ბავშვთა და მოზარდთა კრივის რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი დ. კვაჭაძე და უფროსი ბულალტერი ლ. მაისურაძე განთავისუფლებული არიან სამუშაოდან; (ხოლო დირექტორი რ. მეგრელიშვილი ახალი დანიშნულია), რაც შეეხება თვით სპორტულ სკოლას, იგი მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან გაერთიანებულია ცენტრალიზებულ ბულალტერიაში.

— რესპუბლიკური საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების წლიური ანგარიშები და ბალანსები განხილული და დამტკიცებულია განათლების სამინისტროს საბალანსო კომისიის მიერ.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველოს გადაწყვეტილება და ცნობა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა 1985 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ“ დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და დაევალოთ მათ:

— სასწრაფოდ, დაწვრილებით გააანალიზონ და განხილონ თავიანთი დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციების 1985 წლის

საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა მიზეზები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მომავალში მათი აღმოფხვრისა და 1986 წლისათვის გათვალისწინებული ყველა საგეგმო დავალების უთუოდ შესრულებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საგეგმო და საფინანსო მაჩვენებლების დაგეგმვას, მათი შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვის საქმიანობას, გაზარდონ ხელმძღვანელთა და სათანადო სამსახურებში დასაქმებულ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

— ადგილებზე სახალხო განათლების განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შედგენის დროს მეტი ყურადღება მიაქციონ ქსელის ფაფართობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის რეალურ შესაძლებლობებს;

— სისტემატურად განიხილონ საგეგმო დავალებათა შესრულებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ათვისების მიმდინარეობა და დასახონ ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— არ დაუშვან სახსრების უყაირათო და უკანონო ხარჯვის არც ერთი ფაქტი, მკაცრად დასაჯონ ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც ბრალი ედებთ ასეთი ფაქტების დაშვებაში;

— კონტროლი დააწესონ და გულმოდგინე ეკონომიური დასაბუთების გარეშე არ დააყენონ სათანადო ორგანოებში საკითხი დამატებითი ასიგნებების გამოყოფის შესახებ, თუ მათი დროული და მიზნობრივი ათვისება გარანტირებული არ იქნება;

— მეტი ყურადღება გამოიჩინონ მუშაკთა ტარიფიკაციის სწორად ჩატარებაზე, ზუსტად დაიცვან შესაბამისი წესები და ვადები;

— მიიღონ გადამჭრელი ზომები დაწესებულება-ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სათანადო დონეზე დასაყენებლად, 1986 წლის 1-ლ ივლისამდე მინიმუმამდე დაიყვანონ 1985 წლის ბალანსებით რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები, ამასთან შემდგომში არ დაუშვან მათი ზრდა;

— პერიოდულად მოამზადონ სათანადო მასალები საგეგმო დავალებათა შესრულებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ათვისების მიმდინარეობაზე და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულზე მოახსენონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და განათლების სამინისტროს;

— ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 20 ივნისისათვის.

6. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოებისა და ცალკეული დაწესებულებების საქმიანობის კომპლექსური შესწავლის დროს ყურადღება გაამახვი-

ღონ ძირითადი საგეგმო დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე, საბიუჯეტო თანხების ათვისებაზე, გამოავლინონ მათ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და მოამზადონ წინადადებანი მათი აღმოფხვრისა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. გ. ვარდოსანიძე) სახალხო განათლების შესაბამის ორგანოებთან ერთად გულდასმით გააანალიზოს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა და საბავშვო სახლებში ბავშვთა კონტინენტის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები და მოამზადოს საქმიანი წინადადებანი მომავალში ქსელის რაციონალიზაციისა და კონტინენტის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

8. განათლების სამინისტროს მომმარაგებელმა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა (ამხ. ამხ. კ. ძლიერიშვილი, ი. იტრიაშვილი, ყ. ბუბაშვილი, თ. სუპატაშვილი, ვ. რამიშვილი, ა. ბაკურაძე, ა. ბანცაძე) შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი, რათა რითმულად სრულდებოდეს საგეგმო დავალებანი და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებანი, ზენორმატიული სასაქონლო ნაშთები, არამწარმოებლური ხარჯები და საფინანსო საქმიანობის სხვა დარღვევები.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) აამაღლოს მომთხოვნელობა და კონტროლი დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად, სახალხო განათლების განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქსელის ზრდისათვის ადგილებზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის რეალურ შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებში სახარჯთაღრიცხვო და სამტატო დისციპლინის დაცვას, მათ შეუფერხებელ ფინანსირებასა და გამოყოფილი ასიგნებების დროულად და სრულად ათვისების უზრუნველყოფას.

10. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ამხ. თ. ბაღაშვილი) გაატაროს ღონისძიებანი საბიუჯეტო დაწესებულებებში და სამეურნეო ორგანიზაციებში საბუღალტრო საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თანხების მიზნობრივი და ყაირათიანი ხარჯვის უზრუნველყოფას, არამწარმოებლური ხარჯების თითოეული ფაქტი გახადოს მსჯელობის საგნად, შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ერთად დასახოს ზომები დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შესამცირებლად, პერიოდულად კოლეგიაზე განსახილველად მოამზადოს საკითხები ცალკეულ

ორგანიზაცია-დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმიანობის მდგომარეობისა და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

11. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის აღდგენის თაობაზე.

12. კონტროლი კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საგეგმო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოებს (ამხ. ამხ. ო. კერესელიძე თ. ბაღაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვასაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისთვის  
1986 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში  
არსებული სერიოზული ნაკლოვანებების თაობაზე  
საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს  
1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების განხორციელების  
ღონისძიებათა გეგმა (1986—1990 წ. წ.)

„რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიან) და დაუსწრებელი საშუალო სკო-  
ლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიე-  
ბათა შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რე-  
ფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შუქზე“ საქართვე-  
ლოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის  
დადგენილების შესასრულებლად კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუ-  
როს აღნიშნული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა  
გეგმა (1986—1990 წ. წ.).

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-  
განყოფილებებმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიე-  
რებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, აფხზეთისა და აჭარის  
ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლი-  
კის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებ-  
მა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— გააძლიერონ ორგანიზაციული და სამეცნიერო-პედაგოგიური  
მუშაობა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების თაობაზე საქართვე-  
ლოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის  
დადგენილების შესასრულებლად. განსაკუთრებულად ყურადღება მი-  
აქციონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელის მოწესრიგებას,  
ზემძღვანელი და პედაგოგიური კადრებით, მოსწავლეთა კონტინგენ-  
ტით დაკომპლექტებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემ-  
დგომ გაუმჯობესებას, სწავლების ფორმების, მეთოდებისა და საშუა-  
ლებების სრულყოფას, სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე  
ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე მომუშავე ახალგაზრდობის  
იდუურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის საფუ-  
ძელებზე.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაე-  
ვალოს მინისტრის მოადგილეებს (ამხ. ამხ. ლ. გაგუა, თ. დოლიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. შალაძე

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების თაობაზე საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა გეგმა (1986—1990 წ. წ.)

№№	საკითხები, ღონისძიებები	შესრულების ვადა	შემსრულებელი
I.	ორგანიზაციული ღონისძიებები		
1	საართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესატანი წინადადებების მომზადება.	1986—1990 წლები	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად
2	საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღებისა და ამორიცხვის წესების გადამუშავება და კოლეგიაზე განხილვა.	ყოველი წლის 1-ლი კვარტალი	საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
3	16-29 წლის ასაკის, საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდობის კონტინენტის დაოგენა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, მიღებული მონაცემების საფუძველზე რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტების სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავება მე-12 ხუთწლედისათვის	1986 წლის III კვარტალი	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად

1	2	3	4
	მთლიანად და კონკრეტულად ყოველი სასწავლო წლის მიხედვით.		
4	მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოზიდვისა და დამაგრების მიზნით ღონისძიებების მომზადება და საწარმოო კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მათი განხორციელება.	1986—1990 წლები	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან, საწარმოო კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად
5	რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელშემწყობი კომისიების შექმნა.	1986 წლის III კვარტალი	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად
6	ადგილობრივი პირობებისა და რეალური კონტინგენტის გათვალისწინებით საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელის მოწესრიგება, ძირითადად გამსხვილების მიზნით.	1986—1990 წლები	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, საგემო-საფინანსო სამმართველოსთან და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად
7	მომუშავე ახალგაზრდობის არასრული საშუალო და საშუალო განათლების ექსტერნის წესით მიღების პროპაგანდა და მისი პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა.	ყოვეწლიურად	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო სკოლების სამმართველოსთან ერთად
8	სახალხო დებუტატების საბჭოების აღმასკომების „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის მიზნით წინადადებების შემუშავება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსაღებნად.	1986 წლის II კვარტალი	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

1	2	3	4
9	სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და დამთავრების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება.	ყოვეწლიურად II და III კვარტალში	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო სკოლების სამმართველოსთან ერთად
10	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორების თათბირ-სემინარის ჩატარება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე პრობლემებზე.	1986 წლის III კვარტალი (სექტემბერი)	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
11	დაუსწრებელი და სალამოს სწავლების ფართო პროპაგანდა რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის, აგრეთვე თვალსაჩინო აკრედიტაციის საშუალებით.	ყოვეწლიურად	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად
12	მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების შრომასთან შეთავსების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების განხორციელების უზრუნველყოფა.	ყოვეწლიურად	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო საეგემო-საფინანსო სამმართველოსთან და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად
13	სახალხო განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის სრულყოფის მიზნით მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.	ყოვეწლიურად	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
14	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ყოველწლიური აუცილებელი ინსპექტირების ორგანიზაცია.	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მეთოდური განყოფილება, სახალხო განათლების ორგანოები
15	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური საბჭოების როლის ამაღლების მიზნით შესა-	1987 წლის II კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პე-

1	2	3	4
	ბამისი მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.		დავოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
16	სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარება სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად.	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად
17	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური დათვლიერების ორგანიზაცია.	1987 წელი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, პროფსაბჭო, ალკვ ცენტრალური კომიტეტი
18	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლებიდან მომუშავე ახალგაზრდობის განთესვისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებების დასახვა და გატარება.	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მეთოდური განყოფილება
<b>II. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა</b>			
1	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების მასალების პროპაგანდისა და შესწავლის თაობაზე საინსტრუქციო წერილებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება.	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსთან ერთად
2	სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კპ 27-ე ყრილობის მასალების, აგრეთვე ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შემოწმება რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში (შერჩევით).	ყოველწლიურად	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მეთოდური განყოფილება, სკოლების სამმართველო



1	2	3	4
3	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ასაკობრივი არაერთგვაროვნების და კონტინგენტის თავისებურებებიდან გამომდინარე სწავლების ინდივიდუალური და დიფერენციული ფორმების დანერგვის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავება.	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტები, მეთოდური განყოფილება
4	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (მასწავლებელთა გადამზადება, სწავლების მატერიალური ბაზის შექმნა, რეკომენდაციების მომზადება)	1986 წლის II კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მეთოდოლოგიური განყოფილება, მომარაგების მთავარი სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
5	შრომა-გასწორების დაწესებულებებთან მომუშავე სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესწავლა.	1987—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო შინაგან საქმეთა შესაბამის სამსახურთან ერთად
6	საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, მსუბუქი მრეწველობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროთა სისტემაში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის მიზნით აღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებების გატარება.	1987—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, დარგობრივი სამინისტროები, პროფსაბუკო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი

1	2	3	4
<p><b>III. ხელმძღვანელ და პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა</b></p>			
1	<p>რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების სწორად შერჩევისა და გამოყენების მიზნით ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება (შემთავსებელ და მცირე დატვირთვით მომუშავე მასწავლებელთა შემცირება შესაძლებლობის სრულად გათვალისწინებით).</p>	<p>ყოველი წლის III კვარტალი</p>	<p>საღამოსა და დაუსწრებელ სკოლების სამმართველო კადრების სამმართველოსთან ერთად</p>
2	<p>ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების გადამზადება; მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების პროგრამების გადახალისება, სწავლების სპეციფიკის სრულად გათვალისწინების მიზნით (მათ შორის არაქართული სკოლებისათვის).</p>	<p>ყოველწლიურად</p>	<p>საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად</p>
3	<p>საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივებისა და ცალკეული მასწავლებლების მიღწევათა განზოგადება და პროპაგანდა.</p>	<p>სისტემატურად</p>	<p>საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, მეთოდურ კაბინეტთან ერთად</p>
4	<p>რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კადრების სრული ატესტაციის ჩატარება.</p>	<p>1986—1990 წლები</p>	<p>საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო კადრების სამმართველოსთან ერთად</p>

1	2	3	4
1	<p><b>IV. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა</b></p> <p>სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დროულად უზრუნველყოფა სსაწავლო გეგმებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურითა და და სასკოლო დოკუმენტაციით.</p>	ყოველწლიურად	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო სახელმძღვანელოებისა და მომარაგების მთავარ სამართველოებთან ერთად
2	<p>რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, მისი შემდგომი სრულყოფის შემუშავება-განხორციელება.</p>	1986—1990 წლები	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო მომარაგების მთავარ სამართველოსთან ერთად
1	<p><b>V. კონტროლი ღონისძიებათა გატარებაზე</b></p> <p>საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. აჭარის ასსრ-ში</li> <li>2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში</li> <li>3. ქ. თბილისში</li> <li>4. რესპუბლიკის მსხვილ საწარმოო ქალაქებში (ქუთაისი, რუსთავი, გორი, ფოთი)</li> </ol>	<p>1987 წელი</p> <p>1988 წელი</p> <p>1989 წელი</p> <p>1990 წელი</p>	<p>სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამართველო, მეთოდური განყოფილება</p>

1	2	3	4
2	ატესტაციის მიმდინარეობისა და მისი შედეგების მდგომარეობის შესწავლა აფხაზეთის ასსრ-ში.	1986 წლის III კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო კადრების სამმართველოს-თან ერთად
3	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრებით სწორად დაკომპლექტების მიზნით დასახულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში (შერჩევით).	1986 წლის IV კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო კადრების სამმართველოს-თან ერთად
4	რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სწორად დაკომპლექტების შემოწმება რაიონებსა და ქალაქებში (შერჩევით).	1987 წლის I კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო მეთოდურ განყოფილებას-თან ერთად
5	სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების „მომუშავე ახალგაზრდობის სალამოსა და დაუსწრებელი განათლების სრულყოფისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში (შერჩევით).	1987 წლის II კვარტალი  1990 წლის IV კვარტალი	სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო სკოლების სამმართველოს-თან ერთად



**ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის  
მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა კომუნისტური  
აღზრდისათვის ქ. ზუგდიდის სკოლისგარეშე  
დაწესებულებათა მუშაობის შესახებ**

მოისმინა და განიხილა რა აღმზრდელითი მუშაობის სამმართველოს ინფორმაცია „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის ქ. ზუგდიდის სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შესახებ“, კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.
2. დავალოს ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილებას სრულყოფილი სკოლისგარეშე დაწესებულებათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელების სტილი და მეთოდები, გააძლიეროს კონტროლი. სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად მიაღწიოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნას.

— უზრუნველყოს სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრების დანიშვნის საკითხებისადმი პრინციპული და საქმიანი მიდგომა, მკაცრი კონტროლი დააწესოს ადგილებზე კადრების შერჩევის, განაწილებისა და დანიშვნის პრაქტიკაზე. გაატაროს სათანადო ზომები სკოლისგარეშე დაწესებულებებში შრომითი, საფინანსო, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. აამაღლოს ამ საქმეში ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

— ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან ერთად გამოძებნოს საშუალება ნორჩ ნატურალისტთა სადგურისა და პიონერთა პარკისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაქმნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში სამმართველომ მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრისათვის დააყენოს საკითხი პიონერული პარკის გაუქმების შესახებ. მიაღწიოს იმას, რომ ყველა სკოლისგარეშე დაწესებულებას გამოეყოს საშეფორგანიზაცია.

3. სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებმა:

შეიმუშაონ და განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში მეტი ყურადღება დაუთმონ მათი საქმიანობის იდეურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივად სასარგებლო მიმართულებას. განსაუთრებულად

ყურადღება დაუთმონ ტექნიკურ შემოქმედებას, სასოფლო-სამეურნეო, კვლევითი და საცდელი, ტურისტული, ბუნების დაცვითი და ა. შ. მუშაობის ფართოდ გაშლას. ყოველმხრივ განავითარონ და წაახალისონ მოსწავლეთა ინიციატივა, წარმართონ იგი შრომითი საქმიანობის აქტივიზაციის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ეკონომიკისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის შეგნებული მონაწილეობისაკენ.

— ოპერატიულად დაძლიონ კადრების შერჩევისა და დანიშვნის საქმეში დაშვებული ხარვეზები, არ დაუშვან სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ამაღლონ საშემსრულებლო დისციპლინა, გააძლიერონ თითოეული თანამშრომლის პერსონალური პასუხისმგებლობისა და მთლიანად კოლექტივის როლი დასახულ ამოცანათა შესასრულებლად. უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით მათთვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა. ამ მიზნით გააძლიერონ საინტრუქციო-მეთოდური მუშაობა, პრაქტიკაში დანერგონ პიონერინსტრუქტორთა, საწრეო მუშაობის ორგანიზატორთა სისტემატური მომზადება და ა. შ.

— გააუმჯობესონ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოზარდებთან მუშაობა, განამტკიცონ კონტაქტები პედაგოგ-ორგანიზატორებთან, საზოგადოებრივ საბჭოებთან. საწრეო და მასობრივ მუშაობაში აქტიურად ჩააბან პედაგოგიურ შემოქმედებას მოკლებული მოზარდები მათი ასაკისა და მიდრეკილების გათვალისწინებით. ჩააბან ამ საქმიანობაში მშობლები, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

— ამაღლონ პედაგოგიური საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა, მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, საწრეო, საინსტრუქციო-მეთოდური და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფას.

4. დავალოს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს (ამხ. თ. ჟღენტი), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს (ამხ. ლ. ჯაში), ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს (ამხ. ვ. შუბლაძე) მეტი ყურადღება დაუთმონ შესაბამისი პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობისადმი მეთოდური დახმარების საკითხს, სისტემატური და უფრო კვალიფიციური ხასიათი მისცენ ამ მიმართულებით თავიანთ საქმიანობას.

5. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ბრძანებით, მუშაობაში დაშვებუ-



ლი სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, კონტროლის შესუსტების და დაკისრებული მოვალეობისადმი არადადამაკმაყოფილებელი დამოკიდებულებისათვის ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორები ამხ. ფ. ბარჭაია და ამხ. ბ. შენგელია განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

6. სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაზე კონტროლის შესუსტებისა და მათი საქმიანობის არასათანადო დონეზე ხელმძღვანელობისათვის ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. ქავთარაძეს მიეთითოს.

7. ინფორმაცია კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილ იქნეს განათლების სამინისტროში 1987 წლის აპრილში.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

9. ეს გადაწყვეტილება თანდართული ცნობით დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

**ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის  
მოთხოვნათა შესაბამისად, მოსწავლეთა კომუნისტური  
აღზრდისათვის ქ. ზუგდიდის სკოლისგარეშე  
დაწესებულებების მუშაობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გეგმის შესაბამისად, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ შეისწავლა საკითხი — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის ქ. ზუგდიდის სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შესახებ. საკითხის შესწავლის პროცესში შემოწმებულ იქნა ქალაქის პიონერთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურების, პიონერული პარკის მუშაობა. ბრიგადის წევრები დაინტერესდნენ საკითხით, თუ რა ფორმებითა და მეთოდებით უწყვეტ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დახმარებას სკოლისგარეშე დაწესებულებები. ამ მიზნით შეისწავლეს ქალაქის რამდენიმე სკოლის საქმიანობა. გაეცნენ სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობისადმი სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს. შესწავლილი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ქალაქის სკოლისგარეშე დაწესებულებები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის დღევანდელი მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ დაწესებულებათა ბაზაზე სხვადასხვა პროფილის 123 წრეში გაერთიანებულია ქალაქის 1891 მოსწავლე. წრეების ერთი ნაწილი შექმნილია ქალაქის საწარმოო ხასიათის გათვალისწინებით, ქიმიის, რადიოტექნიკის, კერამიკის, ნორჩ მეციტრუსეთა, ნორჩ მეფრინველეთა და ა. შ., რაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის ადგილობრივი დარგებისათვის კადრების მომზადებას და იწვევს შესაბამისი საკითხებით მოზარდების დაინტერესებას. აღნიშნული წრეები მუშაობენ საერთო საკავშირო და რესპუბლიკური პროგრამების მიხედვით. პრაქტიკაში დანერგილია ცალკეული წრის მეცადინეობათა ჩატარება მუზეუმის, ბოტანიკური ბაღის, პარკის, ზოგჯერ სამრეწველო საწარმოს ბაზაზე, რაც მათ უფრო მიზნობრივსა და შინაარსიანს ხდის. წრეების ერთი ნაწილი ზაფხულის პერიოდში საქმიანობას საქალაქო პიონერთა ბანაკში აგრძელებს.

ფართო და მრავალმხრივია ქ. ზუგდიდის პიონერთა სასახლეში საწრეო მუშაობა (დირექტორი დ. კედია), მოწონებას იმსახურებს მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების პრაქტიკა, რომელთა შორის რამდენიმე უკვე ტრადიციად იქცა (შეხვედრები პარტიული და კომკავ-

შირული ყრილობების დელეგატებთან, კონკურსები, მანიფესტაციები, პოლიტიკური სიმღერების დათვალიერებები და ა. შ.).

პიონერთა სასახლის აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკური მასშტაბის ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა, ნორჩ შემოქმედთა, მხარეთმცოდნეთა, ფოლკლორისტთა შეკრებები, თემატური კვირეულები და სხვა. ამასთან, არც თუ იშვიათად, ისინი წარმატებებსაც აღწევენ აღნიშნულ ღონისძიებებში (1985 წლის მარტში მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაში პირველი ადგილი დაიკავეს, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე რამდენიმე მოსწავლის ნაშრომი აღინიშნა დიპლომითა და სიგელით, 1986 წლის იანვარში სასახლის მოსწავლეთა ნამუშევრებმა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკურ კვირეულში საპრიზო ადგილი დაიკავეს და ა. შ.).

წრებრივ მუშაობაში, მასობრივი ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში მოსწავლეთა ჩაბმა ხელს უწყობს მათი თვალსაწიერის გაფართოებას, იდეურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებას, შემეცნებითი აქტივობის ამაღლებას, შრომითი, ორგანიზატორული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებას. სასახლე აქტიურად მონაწილეობს და ეხმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აღმზრდელობითი ამოცანების გადაჭრის საქმეში. საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასკოლო პიონერული და კომკავშირული აქტივის სწავლება, ტარდება კონსულტაციები, სემინარები კლასის ხელმძღვანელებისათვის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებისათვის. სასახლის ბაზაზე მიმდინარეობს საზაფხულო პიონერული ბანაკისათვის კადრების მომზადება, ხდება მათთვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის შერჩევა და სხვა. სასახლესთან პიონერული შტაბის შექმნამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას. შტაბის წევრები ეცნობიან სკოლებში პიონერული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს, ეხმარებიან თანატოლებს, ატარებენ მასობრივ ღონისძიებებს, აწყობენ საქალაქო რეიდებს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობენ ეკონომიკისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლის საკითხს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ზუგდიდის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. იგი ხშირად არ შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში მოსწავლე ახალგაზრდობასთან სკოლისგარეშე მუშა-

ობის წარმართვისათვის წამოყენებულ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს.

სკოლის რეფორმა მოსწავლეებში შრომისადმი, ამასთან შემეცნებითი შრომისადმი ინტერესის გაღვივებას ითვალისწინებს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი სკოლისგარეშე დაწესებულებებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მიმართულებით საწრეო და მუშაობის მრავალგვარი ფორმისა და მეთოდის აქტიურად გამოყენების საშუალება აქვთ, როგორცაა საწრეო მეცადინეობებზე დასწრება, წრის წევრებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრება და სხვა. სასწავლო წლის განვლილ პერიოდში წრეების მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ წრებრივი მუშაობის სისტემის შემდგომ სრულყოფაზე, მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესებისა და მოთხოვნების განვითარების სამსახურში მის აქტიურად გამოყენებაზე არავინ ზრუნავს. ხშირ შემთხვევაში დარღვეულია საწრეო მეცადინეობათა ორგანიზაციისა და ჩატარების ელემენტარული ნორმები. აღნიშნული ნაკლოვანებები დამახასიათებელია ქალაქის ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, პიონერთა პარკის მუშაობისათვის (დირექტორები: გ. შენგელია, თ. ბარკაია, მ. კუჭავა).

რიგ შემთხვევებში საწრეო მეცადინეობათა თემატიკა ერთფეროვანი და უინტერესოა, მეცადინეობები საკითხებისადმი ყოველგვარი შემოქმედებითი მიდგომის გარეშე, ადგილობრივ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს, ხშირად მხედველობაში არ არის მიღებული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი, მათი განვითარების დონე. სუსტადაა გამოყენებული თვალსაჩინოება. ზოგიერთი წრის ხელმძღვანელი მეცადინეობას პრიმიტიულ დონეზე, ვალის მოხდის მიზნით ატარებს (ნორჩ ნატურალისტთა სადგური, მეფრინველეობის წრე, ხელმძღვანელი ლ. ქუჩულორია).

დაბალია ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეებში მოსწავლეთა ჩაბმის საერთო საშუალო მაჩვენებელი. მით უმეტეს სავალალოა ამ წრეების მეცადინეობებზე მოსწავლეთა დასწრების მდგომარეობა. შემოწმების დღეს ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წრეებში მეცადინეობებს ესწრებოდა 8-10 მოსწავლე, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წრეების მეცადინეობებს ესწრებოდა უფრო ნაკლები—1-5 მოსწავლე (დებულების თანახმად, როგორც წესი, თითოეული ასეთი პროფილის წრეში გაერთიანებული უნდა იყოს არანაკლებ 15 მოსწავლისა).

პრაქტიკაში არ არის დანერგილი სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და სკოლებში არსებული, ერთი და იგივე სახის ან მსგავსი პროფილის წრეების ხელმძღვანელთა საქმიანი ურთიერთკონტაქტები, იგი არც მეთოდური სახით და არც ღონისძიებათა ერთობლივად ჩატარების ორგანიზაციით არ არის გამოხატული.



სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის განმსაზღვრელ ფაქტორს მნიშვნელოვანწილად წრის ხელმძღვანელის პარაფრაზის, მისი კომპეტენტურობა, ერუდიცია, იდეური სიმწიფე, საქმის სიყვარული და პედაგოგიური ტაქტი განაპირობებს. როგორც შემოწმების მასალის ანალიზი ცხადყოფს, ამ დაწესებულებათა დირექტორები ხშირად უგულბელებყოფენ ამ გარემოებას, არღვევენ სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობა საკვალიფიკაციო დახასიათებების მოთხოვნებს, რის გამოც წრეების ხელმძღვანელებად ინიშნებიან შეუფერებელი, ზოგჯერ კი საერთოდ შემთხვევითი ადამიანები.

ასე მაგალითად, ნორჩ ნატურალისტთა სადგურში მეფრინველეთა წრის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს აგრონომს (ამხ. ლ. ქუჩუტურების სპეციალისტი (ამხ. ნ. ვაბედავა); მეყვავილეთა წრეების მუშაობა მიჰყავთ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს (ამხ. რ. მირცხულავა, ნ. ოდიშარია); პიონერთა პარკში ნორჩ ნატურალისტთა წრეს სათავეში უდგას უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი (ამხ. ე. ლურჯაია). როგორც უკვე აღინიშნა, არის შემთხვევები, როდესაც წრის ხელმძღვანელებად იწვევენ ისეთ პირებს, რომლებსაც პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება საერთოდ არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისეთებსაც კი, რომლებიც წრის ხელმძღვანელებად დანიშნენამდე, წლების მანძილზე, მუშაობდნენ სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული პროფილების მიხედვით. იგივე ლ. ქუჩულორია, სპეციალობით აგრონომი, ნორჩ ნატურალისტთა სადგურში ვადმოსვლამდე მუშაობდა სკოლაში ბიბლიოთეკარად, შემდეგ აგროტექნოლოგად, საბავშვო ბაღის აღმზრდელად, აღმრიცხველად, ნორმალარად და ასეთი პირი ბოლოს დაინიშნა მეფრინველეთა წრის ხელმძღვანელად ნორჩ ნატურალისტთა სადგურში. ყოველივე ამის შემდეგ, გამოიკვეთა ფორმალურად შექმნილი წრე, სუსტი პედაგოგი, რალისტთა სადგურის შელახული ავტორიტეტი. შემოწმების პროცესში გამოვლინდა წრის ხელმძღვანელებად საშუალო განათლების მქონე პირთა დანიშნის ფაქტებიც (ლ. გუგუჩია — ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ქიმიის წრე, ი. ყუფუნია — პიონერთა სასახლის ფოტოწრე და ა. შ.). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს საწრეო მუშაობაზე, საერთოდ სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობასა და ავტორიტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობა საკვალიფიკაციო მოთხოვნები რამდენჯერმე დაიგზავნა ადგილებზე, ხოლო სასახლო განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელები მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, აღნიშნული მდგომარეობა კვლავ გრძელდება. სკოლისგარეშე დაწესებულებებში საწრეო

მუშაობის სრულყოფას იხიცი აფერხებს, რომ დირექტორები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ღია მეცადინეობების ჩატარებას, მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, იშვიათად ესწრებიან მეცადინეობებს, არ ახდენენ მათ ანალიზს და ა. შ.). ამ მხრივ გამოჩაყლის პიონერთა სასახლე წარმოადგენს).

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ სკოლისგარეშე დაწესებულებაში ადგილობრივი სამრეწველო პროფილის გათვალისწინებით შექმნილია წრეები, მაგრამ დღემდე, როგორც წესი, არც ერთ მათგანს არა აქვს დამყარებული არაერთი კონტაქტი შესაბამის საწარმოსთან. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხელშეკრულებათა საფუძველზე წარმოების წინაშე მდგომი ზოგიერთი საკითხის გადაჭრაში მოსწავლეთა მონაწილეობას.

ჯეროვნად არ სრულდება სკოლისგარეშე დაწესებულებათა წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, როგორცაა პიონერ-ინსტრუქტორთა, საწრეთ მუშაობის ორგანიზატორთა მომზადების საკითხი.

სკოლისგარეშე დაწესებულების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საინსტრუქციო-მეთოდური მუშაობაა, რომლის მიზანსაც სკოლებისათვის აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებაში რეგულარული და მიზანდასახული დახმარების გაწევა წარმოადგენს. შემოწმების შედეგები მეტყველებენ, რომ ამ საკითხისადმი ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს თითქმის არაფერი აქვთ გაკეთებული. არც სკოლებში, არც ადგილებზე არ ტარდება სემინარები, კონსულტაციები ტექნიკური შემოქმედების, ნატურალისტური, საცდელი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე. არ ხდება მიღებული მეთოდური ლიტერატურის, დამხმარე მასალების სათანადოდ გამოყენება, კოორდინაცია არ უკეთდება პროფილური წრეებისა და გაერთიანებების მუშაობას, არ იგრძნობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, შრომითი გაერთიანებების შექმნისა და ორგანიზაციისადმი ხელშეწყობა, ცოტა რამ კეთდება სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ბუნების დაცვის სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

სათანადო პროპაგანდა არ ეწევა ტექნიკურ შემოქმედებაში, მოღვაწეობაში, რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ტექნიკურ შემოქმედებაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 4.9%-ს შეადგენს. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს. დღევანდელი ნაკარნახევი, აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებული საქართველოს სსრ განათლების



სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით  
 „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებუ-  
 ლებებში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის გა-  
 უმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაში, კომკავშირული, პიონერუ-  
 ლი ორგანიზაციების საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები იმა-  
 ზე მეტყველებენ, რომ საჭიროა პიონერთა სასახლის საინსტრუქციო-  
 მეთოდური მუშაობის სისტემის სრულყოფა. ყურადსაღებია ის გარე-  
 მოება, რომ უფროსკლასელ აქტივისტთა შორის არ იგრძნობა ინი-  
 ციატივა, დამოუკიდებლობა, თავის ფუნქციონალურ მოვალეობებში  
 სწორი ორიენტირება. აღმზრდელობით მუშაობაში ქმედითად არ იყე-  
 ნებენ საკავშირო პიონერულ მარშს, ლენინურ ჩათვლას. არ ხორცი-  
 ელდება მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე  
 სწორი პედაგოგიური ხელმძღვანელობა.

სკოლისგარეშე დაწესებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქ-  
 ციას მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაცია წარმოადგენს. იგი სა-  
 შუალებას იძლევა მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჩაე-  
 ბას მათი ასაკისათვის შესაფერის საინტერესო შემოქმედებით საქმიან-  
 ნობაში, გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი, მიიღოს საჭირო ინ-  
 ფორმაცია, განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად. მასობრივი ღო-  
 ნისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში მოსწავლეთა ჩაბმა ხელს  
 უწყობს მათ რეკლუტაციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე  
 აღზრდას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულე-  
 ბის, მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემის ჩანერგვას, მოსწავ-  
 ლის პიროვნების ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას და  
 ბოლოს, ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის განვითარებას. ყველა  
 ეს მოთხოვნა გამომდინარეობს და შეესატყვისება ზოგადსაგანმანათ-  
 ლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებს.  
 შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლისგარეშე დაწესებულებათა ერთი ნა-  
 წილი ღღემდე არ იყენებს მასობრივი მუშაობის ბევრ ფორმასა და  
 მეთოდს. სათანადო ყურადღებას არ უთმობს რესპუბლიკურ ღონის-  
 ძიებებში მოსწავლეთა მონაწილეობას. ასე მაგალითად, ნორჩ ნატურ-  
 რატილსტთა სადგურმა წლების მანძილზე, მიუხედავად მრავალგზის  
 მითითებისა და შეხსენებისა, ვერ შესძლო რესპუბლიკურ კონკურსში  
 „ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლის ეზოსა და მის შემო-  
 გარენს“, „ცისფერი საგუშაგოების“ რესპუბლიკურ დათვალიერებასა  
 და სხვა ღონისძიებებში ჩაბმა. პრაქტიკაში არ არის დანერგილი საინ-  
 ტერესო ადამიანებთან, შრომის მოწინავეებთან შეხვედრების ჩატა-  
 რება, ქალაქის მშრომელთა შრომითი მიღწევების პროპაგანდა, იშ-  
 ვიათად ტარდება ექსკურსიები ქალაქის საწარმოებში, სასოფლო-სა-  
 მეურნეო ობიექტებზე და სხვა.

სკოლისგარეშე დაწესებულებები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ განხრედილებულ დღის ჯგუფებთან. არ აქვთ გათვალისწინებული საწრეო მუშაობაში აღსაზრდელთა ფართოდ ჩაბმა, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ განხრედილებული დღის ჯგუფების აღმზრდელებს კლასგარეშე ღონისძიებათა მომზადების, თვალსაჩინო საშუალებების გამოყენების, გასართობი თამაშობების ჩატარების ორგანიზაციაში.

სკოლისგარეშე დაწესებულებების ყურადღების მიღმა დარჩენილი მოსწავლეებთან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მუშაობა. მიკრორაიონებში ინტერესების მიხედვით არ არის ჩამოყალიბებული წრეები, კლუბები, გაერთიანებები, ამ საქმეში არ არიან ჩაბმული საზოგადოების წარმომადგენლები, არ არის დამყარებული საქმიანი კონტაქტები პედაგოგ-ორგანიზატორებთან.

სუსტადაა გამოყენებული სკოლისგარეშე დაწესებულებების შესაძლებლობები პედაგოგიურად ხელმიშვებულ მოზარდებთან სამუშაოდ. სკოლებში აღრიცხვაზე ასეთი კატეგორიის 28 მოსწავლე, მათ შორის 20 არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაშია აღრიცხვაზე აყვანილი. მხოლოდ ერთი მათგანი — მე-6 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ს. ჩაჩიბაია — ჩაბმულია პიონერთა სასახლის ავია-მოდელირების წრეში, რამაც აშკარად დადებითი ზეგავლენა მოახდინა მოზარდზე. სამწუხაროდ, ეს ფაქტი მაგალითის მიმცემი არ გამხდარა სხვებისათვის. სკოლისგარეშე დაწესებულებებს არა აქვთ გამოუმუშავებული აღსაზრდელთა მშობლებთან ურთიერთკავშირის ფორმები. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს პიონერთა სასახლე. ყველგან არ არის შექმნილი მშობელთა კომიტეტები, ნაკლებად იზიდავენ მათ საზოგადოებრივ საწყისებზე ბავშვებთან სამუშაოდ.

ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, პიონერთა პარკს არა აქვთ დამყარებული მჭიდრო კონტაქტი ქალაქის სამრეწველო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან. თითქმის არაფერი კეთდება წარმოების მოწინავეთა აქტიურად მოზიდვისათვის მოსწავლეთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში ჩასაბმელად.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებში, პიონერთა პარკში პედაგოგიურმა საბჭოებმა გადამწყვეტი ზეგავლენა ვერ იქონიეს დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებაზე რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად. მათ მუშაობაში აღინიშნება პასიურობა და ფორმალიზმი. სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელობა პედაგოგიური საბჭოს მუშაობას ვერ წარმართავს დაწესებულების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად ძალების მობილიზებისათვის, რისი სა-



ჭიროების აუცილებლობაც დღევანდლობის მოთხოვნებითაა ნახვევი.

სკოლისგარეშე დაწესებულებების ნაყოფიერი მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორია მატერიალური ბაზა. უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის ხელშეწყობით გაუმჯობესდა პიონერთა სასახლის ბაზა, ახალ შენობაში იქნა გადაყვანილი მიმდინარე სასწავლო წელს ნორჩ ტექნიკოსთა სადგური. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ნორჩ ნატურალისტთა სადგურს ცუდი პირობები აქვს მუშაობისათვის. მართალია, აქვს კარგი მიწის ნაკვეთი, მაგრამ შეხიზნულია ბარაკის ტიპის შენობაში. წლების მანძილზე არ გადაწყდა პიონერთა პარკის პრობლემა, რომელიც ფაქტობრივად, ფორმალურად არსებობს. საწრეო მეცადინეობები ტარდება ორ პატარა ოთახში, რის გამოც მუშაობა დებულების მოთხოვნათა შესაბამისად არ წარმოებს. ყველა სკოლისგარეშე დაწესებულებას არა ჰყავს გამოყოფილი საშეფო დაწესებულება. სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში შემოწმების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლოვანებები სახალხო განათლების განყოფილების მხრიდან მათი საქმიანობის მიმართ სუსტი ხელმძღვანელობითა და არასათანადო ყურადღებითაა განპირობებული (გამგე მ. ქავთარაძე). განყოფილება არ ღებულობს სათანადო ზომებს სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და სკოლების მუშაობის კოორდინაციისათვის. ისინი არ არიან ორიენტირებულნი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედებისაკენ. ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს ქალაქის მეთოდკაბინეტი. განათლების საბჭოს სხდომაზე იშვიათად იხილება სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, სუსტია კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. არ ტარდება ოპერატიული ზომები არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად, სათანადო რეაგირების გარეშეა დარჩენილი სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის ყველა ფორმაში მოსწავლეთა ჩაბმის კლებადობის ფაქტიც. ასე მაგალითად, თუ 1983 წელს, რეფორმის მიღებამდე, სკოლისგარეშე დაწესებულებათა წრეებში გაერთიანებული იყო მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 22,6%, 1985 წელს ამ მაჩვენებელმა კიდევ უფრო დაიწია და 22% გახდა (8598-დან 1981).

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში კლასგარეშე მუშაობის ფართოდ გაშლისათვის სრულად არ გამოიყენება ქალაქში არსებული რეალური შესაძლებლობანი.

ქ. ზუგდიდში ჩატარებულ იქნა გაფართოებული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკები,

სკოლების დირექტორები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები, მეთოდკაბინეტისა და განათლების განყოფილების აპარატის თანამშრომლები. გაკეთდა ვრცელი ინფორმაცია შემოწმების შედეგების შესახებ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა.

აღმზრდელობითი მუშაობის  
სამმართველო

## РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О работе внешкольных учреждений г. Зугдиди  
по коммунистическому воспитанию учащихся в  
соответствии с требованиями реформы  
общеобразовательной и профессиональной  
школы**

**27 марта 1986 года**

Заслушав и обсудив справку Управления воспитательной работы «О работе внешкольных учреждений г. Зугдиди по коммунистическому воспитанию учащихся в соответствии с требованиями реформы школы», коллегия р е ш а е т:

1. Принять к сведению указанную информацию.
2. Поручить отделу народного образования г. Зугдиди:

— совершенствовать стиль и методы руководства деятельностью внешкольных учреждений, усилить контроль в соответствии с решениями XXVII съезда КПСС и XXVII съезда КП Грузии, требованиями реформы общеобразовательной и профессиональной школы, добиться коренного изменения в работе;

— обеспечить принципиальный и деловой подход к вопросу назначения руководящих кадров внешкольных учреждений, строго контролировать практику подбора, расстановки и назначения кадров на местах; принять соответствующие меры по укреплению трудовой, финансовой и исполнительской дисциплины, повысить в этом деле персональную ответственность руководителей;

— совместно с местными партийными и советскими органами изыскать возможность для создания необходимой материальной базы для станции юных натуралистов и пионерского парка, в противном случае до 1 сентября текущего года Управлению поставить вопрос о ликвидации пионерского парка; добиться закрепления за каждым внешкольным учреждением шефского предприятия.

3. Директорам внешкольных учреждений:

— разработать и осуществить конкретные мероприятия по устранению имеющихся недостатков; в процессе работы с деть-



ми больше внимания уделять идейно-политической, общественно-полезной направленности их деятельности; расширению работы по техническому творчеству, сельскохозяйственному опытничеству, природоохранительной деятельности, туризму; все-сторонне развивать и стимулировать инициативу школьников, направить её на активизацию трудовых дел, сознательное участие в реализации Продовольственной программы и борьбу за экономию и бережливость;

— оперативно устранять просчеты, имеющиеся в деле подбора и назначения кадров, не допускать нарушения установок Квалификационной характеристики работников внешкольных учреждений; поднять на уровень современных требований социалистическую дисциплину, повысить персональную ответственность каждого сотрудника и роль коллектива в целом за выполнение поставленных задач; с этой целью усилить инструктивно-методическую работу, ввести в практику систематическую подготовку пионеров-инструкторов, организаторов кружковой работы и т. д.;

— улучшить работу с учащимися по месту жительства и в группах продленного дня, укрепить контакты с педагогами-организаторами, общественными советами; активно вовлекать в кужковую и массовую работу педагогически запущенных подростков, предусмотрев их возраст и наклонности, шире привлекать в этой деятельности родителей, представителей трудовых коллективов;

— поднять роль и ответственность педагогического совета; добиться совершенствования учебно-воспитательного процесса, кружковой и организационно-массовой работы.

4. Поручить Республиканскому Дворцу пионеров и школьников им. Б. Дзnelадзе (тов. Т. Жгенти), станции юных техников (тов. Л. Джаши), станции юных натуралистов (тов. В. Шубладзе) больше внимания уделять оказанию методической помощи учреждениям соответствующего профиля, придать этой работе систематический и более квалифицированный характер.

5. Принять во внимание, что за серьезные недостатки в работе, ослабление контроля и неудовлетворительное отношение к своим обязанностям, приказом заведующего отделом народного образования г. Зугдиди, директора станций юных натуралистов и юных техников (Ф. Баркая и Б. Шенгелия) освобождены от занимаемой должности.



6. Информацию о работе, проведенной по выполнению настоящего решения коллегии в Министерство представить до 1 апреля 1987 года.

7. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

8. Настоящее решение с прилагаемой справкой издать в Сборнике приказов и инструкций Министерства просвещения Грузинской ССР.

**Председатель коллегии,  
Министр Н. Ш. Васадзе**

## СПРАВКА



### О работе внешкольных учреждений г. Зугдиди по коммунистическому воспитанию учащихся в соответствии с требованиями реформы общеобразовательной и профессиональной школы

В феврале 1986 года бригада Управления воспитательной работы изучила в г. Зугдиди работу внешкольных учреждений по коммунистическому воспитанию учащихся в соответствии с требованиями реформы общеобразовательной и профессиональной школы.

В ходе проверки члены бригады, помимо внешкольных учреждений, побывали в школах, ознакомились с работой городского отдела народного образования по координации и руководству внешкольными учреждениями. Результаты проверки свидетельствуют, что внешкольные учреждения города ведут определенную работу по коммунистическому воспитанию учащихся, одним из средств которого является вовлечение школьников в кружковую работу самого разного профиля: технического, натуралистического, эстетического и. т. д. Общий охват учащихся внешкольными учреждениями составляет 1891 человек при наличии 123 кружков.

Отдельные кружки внешкольных учреждений созданы с учетом производственного окружения города, что призвано влиять на подготовку кадров, нужных для местных отраслей народного хозяйства.

Кружки работают по общесоюзным и республиканским программам. Вошло в практику проведение занятий того или иного кружка на базе музея, ботанического сада, парка, порой и производственного предприятия, что позволяет сделать занятия более целевыми и содержательными. В период летних школьных каникул ряд кружков переходит работать в городской пионерский лагерь. На базе Дворца пионеров осуществляется подготовка кадров для лагеря, подбирается соответствующая методическая литература.

Широка и многообразна кружковая работа во Дворце пионеров г. Зугдиди (директор Д. Кейдия). Заслуживают одобрения массовые меропрития Дворца, многие из которых стали уже традиционными. Это встречи с делегатами партийных



и комсомольских съездов, конкурсы, манифестации, смотры политических песен и т. д. Дворец привлекает школьников и к участию в республиканских мероприятиях: учебно-творческой конференции, олимпиаде художественной самодеятельности, слетах юных творцов, краеводов, фольклористов, тематических неделях и т. д. При этом нередко воспитанники Дворца становятся победителями. Так, в январе 1986 года — Республиканской недели науки, техники и производства для детей и юношества, олимпиады художественной самодеятельности — в марте 1985 года и т. д.

Привлечение школьников к кружковой работе, подготовке и проведению массовых мероприятий содействует расширению у них кругозора, идейно-нравственному становлению, приобретению навыков — познавательных, трудовых, организаторских, формированию активной жизненной позиции.

Определенное внимание уделяется Дворцом оказанию методико-практической помощи школам в решении воспитательных задач. Ведется учеба актива — ученического, пионерского; проводятся консультации, семинары для учителей, старших пионервожатых, организаторов как на местах, так и на базе Дворца. С помощью методсовета решаются проблемы совершенствования методико-инструктивной работы Дворца, готовятся различные сценарии, рекомендации. Создание при Дворце городского пионерского штаба содействовало развитию самоуправленческой деятельности школьников — ребята сами изучают по школам вопросы, связанные с организацией пионерской работы, проводят массовые мероприятия, организуют рейды по городу, одной из целей которых, в частности, является борьба за экономию и бережливость.

Вместе с тем, в деятельности внешкольных учреждений города наблюдается ряд серьезных недостатков, упущений, которые тормозят практическое претворение в жизнь требований Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы.

Так, реформа предусматривает совершенствование системы обучения детей, привитие им интереса к учебе, труду, в том числе труду познавательному. И в этом деле важную роль призваны сыграть внешкольные учреждения, вмещающие в себя широкий сектор кружковой работы.

Однако, посещение занятий кружков, беседа с их воспитанниками, руководителями, осмотр планов занятий свидетель-

ствуют не только об отсутствии стремления усовершенствовать систему работы кружка, поставить его на службу развития познавательных запросов и интересов школьников, но и о нарушении элементарных норм её организации и проведения, что особенно характерно для станции юных натуралистов, техников, пионерского парка (директора Б. Шенгелия, Ф. Баркая, М. Кучава).

В ряде случаев тематика кружковых занятий скучная, неинтересная, нередко сухая, слепо переписанная из программы, без творческого подхода, учета местных условий. Во внимание не принимаются возрастные особенности детей, уровень их развития. Слабо используется наглядность. Эталоном примитивности и серости явилось прослушанное проводящим занятием кружка юных птицеводов на станции юных натуралистов (рук. Л. А. Кучулория).

Неудовлетворительным является охват детей кружками на станциях юных техников, юных натуралистов. Так, в день проверки в кружках станции юных натуралистов присутствовало по 8-10 ребят, на станции юных техников — по 1-4, вместо 15.

